ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N22

24.11.2023

სხდომის ჩატარების ადგილი: ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა, სხდომათა დარბაზი.
ქ. ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების N22-ს სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბაქარ მახარაძე.

ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

კომისიის წევრები:

გია ბასილაძე, ირაკლი შენგელია, ამირან კოპალეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, მარეხი ნიჟარაძე, ელეონორა არჩაია, კობა გურული, მერაბ ჭოხონელიძე.

სულ: 16 წევრიდან 9 წევრი.

არ ესწრებოდნენ:

გიორგი კილაძე, გაგა მანაგაძე, დავით ბახტაძე, რომან ქვაჩაკიძე, პაატა ლილუაშვილი, მაია სიმონიძე, დარეჯან ფხაკაძე.

სულ: 7 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბ-ნი **დ. ერემეიშვილი,** ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ბ-ნი **დ.ნიშნიანიძე,** ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ **ფ. ხაჭაპურიძე,** ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თ. ბერიშვილი,** ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე **მ. ხიდაშელი,** ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ **მ. კუბლაშვილი,** აგრეთვე ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპებ-ისა და შპს-ების ხელმძღვანელი პირები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.მახარაძემ,** რომელმაც აღნიშნა: „მოგესალმებით

მეგობრებო, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა. წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 22-ე სხდომის დღის წესრიგის შემდეგ პროექტს:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

/ბატონი დ. ნიშნიანიძე/
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა
და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. მიმდინარე და სხვა საკითხები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონი ბაქარ მახარაძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის N22 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

(დანართი ოქმს თან ერთ ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილია „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“. 2023 წელს წარმოდგენილ პირვანდელ პროექტთან შედარებით 2024 წლის ბიუჯეტს გაზრდილი პარამეტრებით ვიწყებთ, რომელიც შეადგენს 100 210,8 ათას ლარს. დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ბატონ დ.ნიშნიანიძეს“.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **დ. ნიშნიანიძე:** „მოგესალმებით, გაგაცნობთ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ“.
2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 72310,8 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 5770,0 ათასი ლარით.

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 60310,8 ათასი ლარით;
- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 12000,0 ათას ლარს;

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია: **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებელი შეადგენს 312,4 ათას ლარს რაც წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს.

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1320,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 800,0 ათასი ლარი;
  - ✓ დივიდენდი 50,0 ათასი ლარი;
  - ✓ რენტა 470,0 ათასი ლარი;

  შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 6450,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 1500,0 ათასი ლარი;
  - ✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1100,0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 3500,0 ათასი ლარი;
  - ✓ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 350,0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 5567,6 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 5200,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 307,6 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) 60,0 ათასი ლარი.
- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 1250,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 850,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან 150,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 250,0 ათასი ლარი

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 13000.0 ათას ლარს;
- **ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (-3929,7) ათას ლარს.**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 100210,8 ათას ლარს **პრიორიტეტების** მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის** განვითარება - **15610,5 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 2280,5 ათასი ლარი;
  - ✓ **გარე** განათება - 4000,0 ათასი ლარი;
  - ✓ **მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების** რეაბილიტაცია - 650,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია.

- ✓ **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 1000,0 ათასი ლარი,** პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.
- ✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები - 2320,0 ათასი ლარი.** პროგრამის მიზანია ქალაქში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; ქალაქის მიმზიდველობის გაზრდისათვის ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით; ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ისეთი სხვადასხვა სახის ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა, რომლებიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია და ასახვა ვერ ჰპოვა ბიუჯეტში.
- ✓ **მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა - 4660,0 ათასი ლარი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის, მ.შ. საბავშვო ეტლით მოსარგებლე პირების, შშმ პირების სწრაფ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.
- ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების** ხარჯები განისაზღვრა 300,0 ათასი ლარით.
- ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები** განსაზღვრულია 400,0 ათასი ლარით.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

- ➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 8815,0 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 7815,0,0 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, ქუჩების მორწყვა–მორეცხვა, დეზინფექცია და დერატიზაცია, უპატრონო ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა და მოვლა.
  - ✓ **ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1000,0 ათასი ლარი**

  მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება.
- ➢ **განათლება - 20613,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება - 20263,0 ათასი ლარი;**
  - ✓ **განათლების ღონისძიებები - 350,0 ათასი ლარი**

პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, ქუთაისის განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისებასა და მოსწავლეთა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 23366,5 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის სფეროს განვითარება - 11278,0 ათასი ლარი;**

სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების წახალისება.

  - ✓ **კულტურის სფეროს განვითარება - 11688,5 ათასი ლარი.**

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ასევე, მოხდეს ი. ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ფოლკლორის სახელმწიფო ანსამბლისა და კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა.

  - ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 400.0 ათასი ლარი.**

ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 8522,6 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **ჯანმრთელობის დაცვა - 2299,2 ათასი ლარი;**

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების დროულად გამოსავლენად, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა.

  - ✓ **სოციალური უზრუნველყოფა - 6173,4 ათასი ლარი;**

პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული 0-18 წლამდე ასაკის პირთა თანადგომა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება, სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/

თანადაფინანსება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფას.

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა- 1735,0 ათასი ლარი.**

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის 2024 წელს განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ხელშეწყობას, ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, უცხოური და ადგილობრივი ინვესტორების დაინტერესებას ქალაქის მიმართ; ქუთაისის, რეგიონის ტურისტულ ჰაბად ჩამოყალიბების ხელშეწყობას, გენერალური განვითარების გეგმის ცალკეული კომპონენტების მომზადებას, მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვის უზრუნველყოფას.

თუ საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის დაბრუნების შესახებ, ჩვენ შევძლებთ რიგი მაჩვენებლები დავაზუსტოთ და პროგნოზები უკეთ განვსაზღვროთ, რაც ბიუჯეტის ზრდას გამოიწვევს“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ე.არჩაია: „სანიაღვრეებისთვის გამოყოფილი თანხების გაზრდა თუ იგეგმება?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „აუცილებლად გაიზრდება, რადგან რიგი ქუჩები, სადაც სანიაღვრეები უნდა გაკეთდეს, საჭიროებს ტენდერებზე გატანას. ამით წლიური მაჩვენებელი აუცილებლად გაიზრდება“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი კ.გურული: „სოციალურ პროგრამებში თუ გაქვთ ზრდა?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „დიახ, 500 ათასი ლარით იზრდება ეს პროგრამები“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ე.არჩაია: „ახალი პროექტის მიხედვით თუ იმატებს მრავალშვილიანთა დახმარება?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „ამ ეტაპზეც გათვალისწინებული გვაქვს 1100 ათასი ლარი, რაც ბენეფიციართა რიცხოვნობის მიხედვით გამოვთვალეთ“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „დასუფთავებაში, ნარჩენების გატანაში 3,5 მლნ ლარი რამდენად შესრულებადია?“

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „2023-ში გავზარდეთ გეგმა, მაგრამ არ ამოვიდა თანხები. ახალი მჩვენებელი დავგეგმეთ განვლილი პერიოდის ფაქტიური შესრულების მიხედვით“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „რიგ ააიპ-ებს და შპს-ებს წარმოდგენილ დანართში არ აქვთ განსაზღვრული სოციალური დაცვის და შრომის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხები“.

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „ჩვენ მათ ე.წ. „ჭერები განუსაზღვრეთ და თვითონ გადაანაწილეს. რაც შეეხება

შპს-ებს, ისინი სუბსიდიით ფინანსდებიან და შეიძლება შრომის ანაზღაურების დაზუსტებული მაჩვენებელი არ გამოჩნდეს".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „საერთოდ არ არის წარმოდგენილ ბიუჯეტში ჩასმული ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძებები".

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „მთავრობიდან, რგფ-დან ველოდებით თანხებს, რაც გაზრდის ბიუჯეტს და თანხების სხვადასხვა პროექტებში გადანაწილების საშუალება გვექნება".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „მადლიერების სახლის დაფინანსებაც მცირდება. ეს ბენეფიციართა რიცხოვნობის შემცირებამ გამოიწვია თუ რაიმე სხვა ფაქტორმა?"

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: „დიახ, შემცირდა ბენეფიციართა რიცხოვნობა. არაფინანსურ აქტივებში იყო თანხები წელს და მომავალ წელს იგივე აღარ ჭირდებათ. თუმცა, თანხების ამ მცირეოდენ შემცირებას არ მოყვება რომელიმე ბენეფიციარის დაზარალება. შემცირება მოვახდინეთ ფაქტიური ხარჯებიდან გამომდინარე".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში 30 ათასლარიანი შემცირებაა. ჩვენ შემოვდივართ რეკომენდაციით, 280 ათას ლარზე დავტოვოთ ეს პროგრამა. ამასთან შემცირებულია თანხები ეპილეფსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით მხარდაჭერის პროგრამაშიც".

სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ ფ. ხაჭაპურიძე: „ გარკვეული პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტმა „წაიღო" და ამით აიხსნება ეს შემცირება".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „გასაგებია. მაშინ სხვა პროგრამებში თანხების გაზრდის მეტი შესაძლებლობა გვექნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება, რომელიც ახალი პროგრამაა".

სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ ფ. ხაჭაპურიძე: „დიახ. ძველმა პროგრამამ იმ ფორმით ვერ იმუშავა და ჩავთვალეთ საჭიროდ მათი ერთი „ქოლგის ქვეშ" გაერთიანება. ვინც ახლა იწყებს, მათთვის 7 ათასი, ხოლო დაწყებული საქმიანობისათვის 5 ათას ლარს გამოვყოფთ".

კარგია, რომ პროგრამებს ვარგებთ მოქალაქეთა საჭიროებებს, მაგ., აღწერილია, თუ რატომ ემართება ადამიანს დიაბეტი და ა.შ. ამის შესახებ მოგწერთ სარეკომენდაციო წერილშიც. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მოქალაქეთა ინფორმირებულობა ავამაღლოთ აღნიშნული პროგრამების მიმართ".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „მრავალშვილიანების რა კატეგორიას ვეხმარებით კომუნალურებით?"

სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ ფ. ხაჭაპურიძე: „ძირითადად ვეხმარებით სოციალურად დაუცველებს. სავარაუდოდ 128 ოჯახი იქნება. მარტოხელა მშობლების კომუნალურებს 30 ლარით ვაფინანსებთ".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ე.არჩაია: „შშმ პირების მიერ სპორტის სასახლეში მათ სპეციალურ დღესთან დაკავშირებულ აღნიშვნას ცოტა უკმაყოფილებები მოყვა. რა იყო ამის მიზეზი? იქნებ მათ მოთხოვნებს მოვერგოთ და არა ისინი ჩვენსას".

სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ ფ. ხაჭაპურიძე: „ჩვენ გვქონდა მათთან კომუნიკაცია. 10 ათასი ლარი გამოიყო ამ ღონისძიებისათვის. პირობები მათ წინასწარ იცოდნენ. თუმცა გავითვალისწინებთ თქვენს შენიშვნას და გადავამოწმებ ამ საკითხს".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ი.შენგელია: „მინდა ყურადღება გავამახვილო ინფრასტრუქტურაზე. უნდა გადაიხედოს ის პრობლემები, რომლებიც გვაქვს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კუთხით. ჩემი აზრით, მათი ნაწილი უნდა გამსხვილდეს, ხოლო ამხანაგობების თანამონაწილეობა უნდა შემცირდეს, ანუ გადაიხედოს საბინაო პროგრამები. მაგალითად, სადარბაზოების რეაბილიტაციის ნაწილში 4 მლნ ლარის განაცხადი აქვთ შემოტანილი მობინადრეებს. განცხადებების რაოდენობის მიხედვით ისინი პრიორიტეტებში გვაქვს. რას შევძლებთ წელს? - ეს კითხვა მაქვს ინფრასტრუქტურის სამსახურთან. თავისუფალ ინიციატივებში თანხა 1 მლნ-მდე გაიზარდა. მოქალაქეებიდან ძირითადი მოთხოვნები ეხება სკვერებს, სპორტულ ინვენტარს, საბავშვო ატრაქციონებს და სხვა. საინტერესოა ამ ნაწილში რას ფიქრობთ? პრობლემა გვაქვს გადაუდებელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხითაც, რისთვისაც მივმართავ „სპეცსერვისებს". მოქალაქეებს სხვა გადაუდებელი საჭიროებებიც უჩნდებათ, მაგ., მიწის დაძვრისაგან გამოწვეული პრობლემები, მეწყერი, საკანალიზაციო სისტემების მოუწესრიგებლობა. სამწუხაროდ, გადაუდებელ ღონისძიებებში მხოლოდ 100 ათასი ლარია ჩასმული, რაც არასაკმარისია. რამდენად არის მზად სამსახური, რომ ცალკე მუხლი შევქმნათ გადაუდებელი ღონისძიებების მოსაგვარებლად? დასუფთავების სამსახურის მეეზოვეებს უნდა მივცეთ უფასო მგზავრობის საშუალება. ამის შესახებ მერიისგან თანხმობა მიღებული გვაქვს. მართალია გვაქვს 10%-ანი დანამატი, მაგრამ ამ ადამიანებს ტრანსპორტის დანამატი ჭირდებათ. მწვანე სივრცეების მოვლა-პატრონობა თქვენთან რომ გადმოვიდეს, ფიქრობთ რომ ბოლომდე მოუვლით ამ პრობლემას? დაბოლოს, კრიტიკული მდგომარეობა გვაქვს სპეცტექნიკის კუთხით. ამ რესურსით თქვენ მაინც ახერხებთ ნარჩენების გატანას, რისთვისაც მადლიერების ღირსია თქვენი სამსახური და თანამშრომლები. 2024 წელს ქალაქს ეყოლება ახალი, გამართული სპეცტექნიკა, რაშიც მთავრობა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გვერდით გვიდგას. შეკითხვა მაქვს სოციალურ სამსახურთანაც: გადაუდებელი რეაგირება სოციალურ და ჯანდაცვის ნაწილში. საჭიროა ამ პროგრამის მოცულობა და მოქნილობა გაიზარდოს. ვფიქრობთ მერის სარეზერვო ფონდი რაც იყო, დავტოვოთ და 200 ათასით გაიზარდოს ეს პროგრამა, ანუ გახდეს 400 ათასი ლარი".

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე მ. ხიდაშელი: „ინფრასტრუქტურის ნაწილში ჩვენი რესურსები შეზღუდულია. 1,5 მლნ ლარი, რაც ახლა გვაქვს გათვალისწინებული, ძალზე მცირეა. აღმასრულებელს დაწყებული აქვს საქმიანობა კაპიტალური ტრანსფერის მისაღებად იმ მოცულობით, რაც გვქონდა. ეს დაფინანსება საშუალებას მოგვცემს ძირითადი პრობლემების დიდი ნაწილი გადავწყვიტოთ. რგფ-დან მისაღები დაფინანსებაც გადანაწილდება პრიორიტეტების მიხედვით".

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „ლიფტებთან დაკავშირებით თანადაფინანსებაში შემოსვლა განიხილება?“

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე მ. ხიდაშელი: „თუ თქვენ მიიღებთ ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას, ჩვენთვის რთული არ იქნები მისი შესრულება“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი გ.ბასილაძე: „რაიმე მუხლები ხომ არ ამოგვიღია სამთავრობო შეთანხმებების შემდეგ?“

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე მ. ხიდაშელი: „ადგილობრივ ბიუჯეტში ამჟამად ვხელმძღვანელობთ არსებული რესურსებით. ჩვენ პროგრამები არ გაგვიუქმებია. რესურსის გაზრდა შესაძლებელია კაპიტალური ტრანსფერით“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „ატრაქციონების დაფინანსება თუ გაქვთ გათვალისწინებული?“

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე მ. ხიდაშელი: „ჯერჯერობით არ გვაქვს გათვალისწინებული“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ზ.მამასახლისი: „ჩვენს ქალაქში მნიშვნელოვანია ღვარსადენების პრობლემა. იტბორება არა მარტო ოღასკურის ტერიტორია, არამედ ქალაქის ცენტრალური ნაწილიც, ბროსეს და გაპონოვის ქუჩები. ასევე პრობლემურია საყრდენი კედლები. დატბორვა დიდ ზიანს აყენებს მთელ ქალაქს. ამ მხრივ ჩვენ ვერ დაველოდებით ქალაქ-მუზეუმის რეაბილიტაციას. ასევე პრობლემურია დასუფთავებაც. ბატონი თენგიზი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მართლაც ბევრს აკეთებს და ამ სამსახურს ზედმეტი ტვირთი არ უნდა გადავაკისროთ. მიმაჩნია, რომ ამ პრობლემებს სწორი გააზრება და მიდგომა ჭირდება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი კ.გურული: „თავისუფალი ინიციატივების პროგრამა 1 მლნ ლარამდე იზრდება. მიმაჩნია, რომ მოქალაქეებს, განსაკუთრებით სტუდენტებს, მეტი ინფორმირება უნდა ქონდეთ ამასთან დაკავშირებით“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ი.შენგელია: „დავამატებ, რომ შეიქმნა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, სადაც ასევე 150 ათასი ლარია გათვალისწინებული სხვადასხვა ახალგაზრდულ პროექტებზე. ინფრასტრუქტურული პროექტები კიდევ სხვაა და იყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „რთული მდგომარეობაა გელათის მე-4 ჩიხში“.

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე მ. ხიდაშელი: „იქ ღია სივრცეა და რთულდება საქაჩი ტუმბოს დამონტაჟება. პრობლემა სხვა გზით უნდა გადაიჭრას“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი გ.ბასილაძე: „წლევანდელ ბიუჯეტში მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია იყო 1,2 მლნ ლარი, რაც წელს აღარ გვაქვს. მნნიშვნელოვნად შემცირებულია გზების კაპიტალური შეკეთება. სანიაღვრე სისტემები თითქმის განულებულია. არ უნდა შევამციროთ პროგრამების დაფინანსება. გუშინ ისევ დაიტბორა ტყიბულის ქუჩა და გამსახურდიას მე-2 შესახვევი. გვინდა რაღაც რეალური ქმედება“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ა.კოპალეიშვილი: „პრობლემებია ლესელიძის მე-5 ჩიხშიც. თუ შემსრულებელმა ფირმამ არაკეთილსინდისიერად გააკეთა სამუშაო, რაიმე ბერკეტი არსებობს გამოსწორების ან დაჯარიმების? გამოდის, რომ უბანში, სადაც რეაბილიტაციაზე ფული დაიხარჯა, შევდივარ და მაინც უკმაყოფილება მხვდება“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „იგივე მდგომარეობაა დეპოს ქუჩაზეც და ჩვენ ამის შესახებ მოგწერთ“.

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი მოადგილე მ. ხიდაშელი: „თუ დავადგენთ მის ბრალეულობას, მაშინ შეგვიძლია მოვთხოვოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით. გეთანხმებით, რომ ეს საკითხი დასარეგულირებელია“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი გ.ბასილაძე: „სასურველი იქნება პროექტი გადაკონტროლდეს ჩვენი საპროექტოს მიერ, რომ რაიმე გავლენა და კონტროლი მოვახდინოთ პროექტზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „მინდა ვკითხო „სპეცსერვისებს“, რატომ გაქვთ შემცირებული 2024 წლის ბიუჯეტში საწვავის ხარჯი, როცა ემატება სატრანსპორტო საშუალებები? დეზინფენქციისთვის გათვალისწინებულია 10 ათასი ლარი. ხომ არ ვგეგმავთ რაიმე სერვისებს მოქალაქეებისათვის? კითხვები არის ძაღლსაშენის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებითაც - ხომ არ იქნება თანხები დასამატებელი?“

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „კიდევ ერთი კითხვა „სპეცსერვისებს“ - მოხდება თუ არა ამ ბიუჯეტის ფარგლებში ნარჩენების შემკრები ადგილების დეზინფენქცია?“

„სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „ჩვენი სამსახური ახდენს არსებული სანიაღვრე სისტემების მოვლას, გაწმენდას. შეკეთებას ჩვენ ვერ ვეხებით არსებული წესის მიხედვით. სკვერების მოვლა-პატრონობას, ატრაქციონებს, შადრევნებს, მეტი რესურსი ჭირდება. ამისათვის ალბათ საჭიროა შეიქმნას ცალკე ჯგუფი, რომელიც არსებულის შეკეთებას მოახდენს. საწვავთან დაკავშირებით არ გვექნება ხარვეზი - იგი განვსაზღვრეთ მიმდინარე ხარჯის მიხედვით. დეზინფენქციის მიმართულებით მომავალ წელს სამუშაოები უფრო ფართოდ ჩატარდება“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი მ.ჭოხონელიძე:“იქნებ გაფრთხილდეს მოსახლეობა ნარჩენების გატანის მოსაკრებლის შესახებ. ამ მხრივ არსებობს პრობლემები“.

„სპეცსერვისების“ ხელმძღვანელი თ.არსენიძე: „ჩვენთან ეს თანხა არ აკუმულირდება, ეს ქალაქის სამსახურის საკითხია“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: „ჩვენც მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად უნდა მოხდეს ინფორმირება და ამაში ადმინისტრაციული ერთეულებიც უნდა ჩაერთონ“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: „მე-14 ბაღთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?“

ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „მიმდინარეობს გამაგრებითი სამუშაოები. ჩვენი სურვილია მეორე სემესტრიდან დაიწყოს ფუნქციონირება“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ა.კოპალეიშვილი: „ბაღებში ბავშვების რაოდენობამ მოიმატა?“

ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „ამჟამად ბავშვთა რაოდენობაა 7450. აქ მთავარი მაჩვენებელია გამოცხადებულ ბავშვთა რაოდენობა. პანდემიამდე იყო 3500-4000 ბავშვი, ხოლო წელს 4700 ბავშვს აღწევს. ეს ალბათ სანდოობის გაზრდამაც გამოიწვია“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი ზ.მამასახლისი: „ინფრასტრუქტურაში რა სახის პრობლემებია ბაღებში?“

ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „ხარვეზები გვაქვს ინფრასტრუქტურაში, რაც გამოწვევად რჩება. საჭიროა შენობა-ნაგებობების რემონტი, ფასადების შეკეთება, წყლის მიწოდების მილები და სხვა“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი გ.ბასილაძე: „რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბაღებში სამუშაო დრო იყოს 8^{30}-18^{30}-მდე?“

ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი დ.წიტაიშვილი: „ეს დიდ ცვლილებებთან არის დაკავშირებული და ამ ეტაპზე ჩვენ არ ვართ მზად ამისათვის. ამას საათობრივი ბადის შეცვლა დაჭირდება. საქართველოში ამის პრეცედენტი არ არსებობს“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი გ.ბასილაძე: „ჩვენ აუცილებლად უნდა დავიწყოთ ფიქრი ამ პრობლემის მოგვარებაზე, რომ მომავალში მაინც გადაწყდეს ეს პრობლემა“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის წევრებმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით არსებული შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

ამით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ბაქარ მახარაძე